ბიუჯეტის 2021 წლის II კვარტლის ანგარიში

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის №19 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 25104,0 ათ.ლარით.

2021 წლის II კვარტლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილება არ განხორციელებულა.

შემოსულობების ნაწილის ანალიზი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის II კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 2020 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 21361,9 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 85,09 %-ია (წლიური დაზუსტებული გეგმა 25104,0 ათ.ლარი).

შემოსავლების დინამიკა სტაბილურია, რაც სრულ თანხვედრაშია ფინანსთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ პარამეტრებთან, შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულებას შემოსავლების ნაწილში საფრთხე არ ემუქრება.

შემოსავლების წლიური გეგმა ტრანსფერის გარეშე შესრულებულია 55,26 %-ით (გეგმა 24854,0 ათ.ლარი, შესრულება 13736,4 ათ.ლარი), მათ შორის:

- ქონების გასახადის გეგმა 67,43 %-ით (წლიური გეგმა 7000,0 ათ.ლარი შესრულება 4720,5 ათ.ლარი) ;
- დღგ-ს გასახადის გეგმა 50,05 %-ით (წლიური გეგმა 14818,6 ათ.ლარი შესრულება 7417,2 ათ.ლარი) ;
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 33 %-ით (წლიური გეგმა 500,0 ათ.ლარი, შესრულება 165,0 ათ.ლარი);
- შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 47 %-ით(წლიური გეგემა 100,0 ათ.ლარი, შესრულება 47,0 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 46 %-ით (გეგმა 150,0 ათ.ლარი, შესრულება 69,0 ათ.ლარი);
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 0 %-ით (გეგმა 120,0 ათ.ლარი, შესრულება 0,0 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 40,41 %-ით (გეგმა 250,4 ათ.ლარი შესრულება 101,2 ათ.ლარი);
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 68,64 %-ით (წლიური გეგმა 1200,0 ათ.ლარი,შესრულება 823,7 ათ.ლარი);
- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 75,5 %-ით (წლიური გეგმა 20,0 ათ.ლარი, შესრულება 15,1 ათ.ლარი);

– შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 40,33 %-ით (წლიური გეგმა 300,0 ათ.ლარი, შესრულება 121,0 ათ.ლარი);
– არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 64,98 %-ით (წლიური გეგმა 395,0 ათ.ლარი,შესრულება 256,7 ათ.ლარი);

2021 წლის II კვარტლის მდგომარეობით მდგომარეობით მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 7625,4 ათ.ლარი, მათ შორის:

ა) მიზნობრივი ტრანსფერი – 125,0 ათ.ლარი ;

ბ) დროებითი დახმარება – 2150,0 ათ.ლარი;

გ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად – 124,7 ათ.ლარი;

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 5175,7 ათ.ლარი;

ე) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა – 50,0 ათ.ლარი;

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი (ხ ა რ ჯ ე ბ ი)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა შეადგენს 25104,0 ათ.ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2021 წლის II კვარტლის მდგომარეობით შეადგინა 18389,4 ათ. ლარი წლიური გეგმის 73,25 % -ია.
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ანალოგიურ პერიოდის მონაცემები ბიუჯეტის ხარჯების შესრულების ნაწილში ასეთია: დამტკიცდა 45 336,2 ათ. ლარით. საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულებამ შეადგინა 8269,4ათ. ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 18,24 %-იყო.

o+F3:K161rg. kodi	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2021 წლის ფაქტი		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5 197,1	5 313,7	143,0	5 170,7	2 454,3	65,8	2 388,5

02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	21 005,0	5 588,3	0,0	5 588,3	8 763,1	5 426,5	3 336,6
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2 845,2	2 900,0	0,0	2 900,0	1 439,9	0,0	1 439,9
04 00	განათლება	5 337,7	4 650,0	0,0	4 650,0	2 704,1	509,6	2 194,5
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	4 205,6	4 856,0	0,0	4 856,0	2 236,3	0,0	2 236,3
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 620,4	1 796,0	107,0	1 689,0	791,8	52,1	739,7

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 2454,3 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 5313,7 ათ.ლარი) 46,19 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 3336,6 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 5588,3 ათ.ლარი) 59,7 % ;
- დასუფთავების და გარემოს დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 1439,9 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 2900,0 ათ.ლარი) 49,65 %;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 2704,1 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 4650,0 ათ.ლარი) 58,15 %;
- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 2236,3 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 4856,0 ათ.ლარი) 46,05 %;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინასებამ შეადგინა 791,8 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 1796,0 ათ.ლარი) 44,08 %;

2021 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის II კვარტლის ხარჯებმა შეადგინა 122,6 ათ.ლარი:

ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 ივლისის მდგომარეობით

სარეზერვო ფონდიდან კონკრეტული ღონისძიებების ჩამონათვალი, თუ რა მიზნით იქნა გამოყოფილი თანხა	სამართლებრივი აქტი	გამოყოფილი თანხა (ლარებში)	შენიშვნა
სააფთიაქო დაწესებულებებში მედიკამენტის შესაძენად გაცემული დახმარებები	ბრძანება	18562	
დახმარების გაწევის მიზნით მოქალაქეთა პირად ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვა	ბრძანება	45227	
სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება მათ შორის , მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილების	ბრძანება	51788	
სარიტუალო ხარჯებისთვის გაწეული დახმარებები	ბრძანება	6980	
სულ		122557	

2021 წლის ხარჯების და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია. მათ შორის:

ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	2019 წლის ფაქტი	2020 წლის გეგმა	2021 წლის პროექტი

				მათ შორის			მათ შორის	
			სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4 950,5	5 055,7	0,0	5 055,7	2 331,0	0,0	2 331,0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	4 876,5	4 940,0	0,0	4 940,0	2 302,3	0,0	2 302,3
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4 544,5	4 590,0	0,0	4 590,0	2 179,7	0,0	2 179,7
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	332,0	350,0	0,0	350,0	122,6	0,0	122,6
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	74,0	115,7	0,0	115,7	28,8	0,0	28,8
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	131,7	143,0	143,0	0,0	65,8	65,8	0,0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	131,7	143,0	143,0	0,0	65,8	65,8	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2 873,1	1 040,0	0,0	1 040,0	507,1	77,4	429,6
7041	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	36,0	50,0	0,0	50,0	12,6	0,0	12,6

70411	საერთო ეკონომიკური და კომერციული საქმიანობა	36,0	50,0	0,0	50,0	12,6	0,0	12,6
7045	ტრანსპორტი	162,4	390,0	0,0	390,0	82,2	0,0	82,2
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	162,4	390,0	0,0	390,0	82,2	0,0	82,2
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	2 674,7	600,0	0,0	600,0	412,3	77,4	334,9
705	გარემოს დაცვა	2 845,2	2 900,0	0,0	2 900,0	1 439,9	0,0	1 439,9
7056	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	2 845,2	2 900,0	0,0	2 900,0	1 439,9	0,0	1 439,9
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	18 131,9	4 548,3	0,0	4 548,3	8 256,0	5 349,1	2 907,0
7061	ბინათმშენებლობა	295,7	200,0	0,0	200,0	207,5	0,0	207,5
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	16 163,2	2 548,3	0,0	2 548,3	6 980,9	5 349,1	1 631,9
7063	წყალმომარაგება	700,0	650,0	0,0	650,0	551,4	0,0	551,4
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	973,0	1 150,0	0,0	1 150,0	516,2	0,0	516,2
707	ჯანმრთელობის დაცვა	222,5	157,0	107,0	50,0	78,5	52,1	26,4
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	222,5	157,0	107,0	50,0	78,5	52,1	26,4
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	4 205,6	4 856,0	0,0	4 856,0	2 236,3	0,0	2 236,3
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1 767,1	1 940,0	0,0	1 940,0	1 041,9	0,0	1 041,9
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2 326,4	2 706,0	0,0	2 706,0	1 144,1	0,0	1 144,1
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	112,1	210,0	0,0	210,0	50,3	0,0	50,3
709	განათლება	5 337,7	4 650,0	0,0	4 650,0	2 704,1	509,6	2 194,5
7091	სკოლამდელი აღზრდა	4 029,6	4 500,0	0,0	4 500,0	2 188,6	0,0	2 188,6
7092	ზოგადი განათლება	1 308,1	150,0	0,0	150,0	515,4	509,6	5,8
70923	საშუალო ზოგადი განათლება	1 308,1	150,0	0,0	150,0	515,4	509,6	5,8
710	სოციალური დაცვა	1 397,9	1 639,0	0,0	1 639,0	713,3	0,0	713,3
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	143,2	215,0	0,0	215,0	75,7	0,0	75,7

7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	768,4	794,0	0,0	794,0	363,4	0,0	363,4
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	486,3	630,0	0,0	630,0	274,2	0,0	274,2
	სულ	40 096,1	24 989,0	250,0	24 739,0	18 332,0	6 054,0	12 277,9

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
სამხედრო აღრიცხვის , გაწვევისა
და მობილიზაციის სამსახური

2021 წლის მე-2 კვარტლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

გაწვევის განყოფილება

2021 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში გამწვევ კომისიაზე გამოსაცხადებლად დაუწყებული იქნა 300 წვევამდელი . ჩატარადა გამწვევი კომისიის 13 სხდომა . გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა 176 წვევამდელი.საიდანანაც „სამხედრო ვავლდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ'' კანონის 30-ე და 29-ე მუხლის შესაბამისად სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადება მიეცა 118 წვევამდელს.

საქართველოს კანონის ,, სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ '' მუხლი-9 -ს საფუძველზე შ.ს.ს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს გადაეცა 467 წვევამდელი.

2021 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში ქალაქ თბილისში გამწვევ-გამანაწილებელ პუნქტში გადაყვანილი იქნა 52 წვევამდელი. საიდანაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჩაირიცხა 16 წვევამდელი.
კერძოდ:
შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარში- 3 წვევამდელი
თავდაცვის ჯარში- 2 წვევამდელი
იუსტიციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებაში- 11 წვევამდელი

ხოლო 36 წვევამდელებს მუდმივმომქმედი სამხედრო სამედიცინო საექსპერტოკომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, თავდაცვის მინისტრის 1996 წლის N360ბრძანების საფუძველზე მიეცათ გადავადება, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

,,სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ'' კანონის მ-21:პ-3-ის საფუძველზე (რომელთაც სხვადასხვა მიზეზით არ უმსახურიათა სამხედრო

სავალდებულო სამსახურში და მიაღწიეს ზღვრულ ასაკს) რეზერვში გადარიცხული იქნა 93 წვევამდელი .

2021 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში გაიცა 6 ცალი წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა.

2021 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში კორესპოდენციით შემოსულია 236 დოკუმენტი და გაცემულია 108 დოკუმენტი.

2021 წლის მე-2 კვარტლის განმავლობაში გადაგზავნილი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით გადაგზავნილი იქნა 27 წვევამდელის პირადი საქმე და შემოვიდა 12 წვევამდელის პირადი საქმე.

გარდა ამისა სისტემატიურად მიმდინარეობდა მუშაობა მოქალაქეთა მომსახურეობის მიზნით.

სამობილიზაციო განყოფილება

2021 წლის მეორე კვარტლის განმავლობაში მობილიზაციის განყოფილებაში შესრულებეული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები :

აღრიცხვაზე აყვანილი იქნა მერის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე და შეიქმნა სააღრიცხვო დოკუმენტაცია სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულ 18 რეზერვისტზე.

2021 წლის პირველი კვარტლის განმავლობაში შესაბამის ბრძანებათა გათვალისწინებით აღრიცხვაზე აყვანილი იქნა და შეიქმნა როგორც სამხედრო სააღრიცხვო ასევე ანბანური ბარათები 1994 წელს დაბადებულ ზღვრულ ასაკს მიღწეულ 97 პირზე.

საქრთველოს თავდაცვის ძალების საკონტრაქტო პროფესიულ სამხედრო სამსახურში გაწვეული იქნა 5 პიროვნება .მათზე მოძიებული იქნა სათანადო მასალები და შედგენილი იქნა პირადი საქმეები.

საქრთველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის სამხედრო სარეზერვო სამსახურში ჩასარიცხად შედგენილი იქნა 5 პირადი საქმე.

რეგისტრაციის მისამართის ცვლილების გამო აღრიცხვიდან მოიხსნა და შესაბამის რეგისტრაციის მისამართზე გადაიგზავნა 18 რეზერვისტის სააღრიცხვო დოკუმენტაცია.

გაცემული იქნა 27 ცალი რეზერვისტის დროებითი მოწმობა.

შეტანილი იქნა სათანადო ცვლილებები ქალაქისა და სოფლების მიხედვით სამობილიზაციო რეზერვის შემადგენლობაში, სამოქალაქო რეესტრიდან მოწოდებული მონაცემების შესაბამისად.

კანონმდებლობის საფუძველზე ასაკობრივი ზღვრების მიხედვით აღრიცხვიდან იქნა მოხსნილი რეზერვისტთა ნაწილი.

დამუშავდა თავდაცვის სარდლობის შტაბის J -1- ის სამსახურიდან გადმოგზავნილი საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულთა 14 პირადი საქმე და მათზე სამხედრო წოდებათა მიხედვით შეიქმნა სააღრიცხვო დოკუმენტაცია.

ძალოვანი სტრუქტურებიდან შემოსული მომართვების საფუძველზე საანგარიშო პერიოდში შეტანილი იქნა სათანადო ცვლილებები სპეციალური აღრიცხვის კარტოტეკაში.

შედარებული იქნა ოფიცრებისა და სერჟანტების კარტოტეკა სააღრიცხვო მონაცემებთან.

ძალოვანი სტრუქტურებიდან შემოსული მომართვების საფუძველზე შეტანილი იქნა სათანადო ცვლილებები სპეციალური აღრიცხვის კარტოტეკაში.

სასამართლოდან გადმოგზავნილ განაჩენთა საფუძველზე ცვლილებები იქნა შეტანილი მსჯავრდებულთა კარტოტეკაში.

მომსახურეობა გაეწია სამამულო ომისა და ტერიტორიული მთლიოანობისათის ბრძოლებში მონაწილეებსა და მათი ოჯახის წევრებს.მათთთვის საჭირო ინფორმაციისა და მასალების მისაწოდებლად.

მიღებული იქნა მოქალაქეები , განხილული იქნა მათი მოთხოვნები და გაწეული იქნა სათანადო მომსახურეობა.

პასუხი იქნა გაცემული განყოფილებეაში სხვადასხვა სტრუქტრებიდან შემოსულ კორესპოდენციებზე.

განხორციელებული იქნა სამსახურის დებულებით და სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციები.

არქტიტექტურის,სივრცითიმოწყობის,ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქტიტექტურის,სივრცითიმოწყობის,ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური საქმიანობას წარმართავს არსებული კანონმდებლობის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებისა და სამუშაო გეგმის თანახმად.

ქვეყანაში შექმნილი (კოვიდ-19) პანდემიის სიტუაციიდან გამომდინარე, შეიცვალა ინფასტრუქტურული სამუშაოების დასრულების გრაფიკები. **2021 წლის 6 თვის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხორციელდება 11 538 466,72 ლარის სამუშაოები;**

- **სრულდება სენაკი-ფოთი-სარფის საერთაშორისო მნიშვნელობის გზიდან ეკალდიდი-დონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია** (6032მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 2 358 999 ლარი მ/შ 2021 წელს 467979 ლარი);
- დასრულდა ქალაქ ოზურგეთის დაზიანებული ქუჩების (კიტა მეგრელაძის ქუჩის შესახვევების, კოსტავას ქუჩის შესახვევის და ძმები ერქომაიშვილების ქუჩა) რეაბილიტაცა (2341 მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 508994,75 ლარი);
- დასრულდა სოფელ კონჭკათში (კატისციხის უბანი) ცენტრალური გზიდან მთავარანგელოზის სახელობის მამათა მონასტერთან მისასვლელი გზის მოწყობა სამუშაოები (791 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 473998,85 ლარი);

- დასრულდა სოფელ მელექედურში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (876 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 307994,84 ლარი);
- დასრულდა სოფ. ლიხაურში ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოები (1195 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 390 329 ლარი);
- 2021 წელს დაიწყო და 2022 წელს დასრულდება სოფელ ციხისფერდი-გურიანთის შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (5261 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 1 699 921,53 ლარი);
- 2021 წელს დაიწყო და 2022 წელს დასრულდება სოფელ ძიმითში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (2408 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 748 998,2 ლარი);
- მრავალწლიანი შესყიდვით დაიგეგმა შეკვეთილის შიდა სასოფლო გზების მოწყობის სამუშაოები (II ეტაპი) (2410 გრძ.მ.) რეაბილიტაციის სამუშაოები (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 1 389 983,69 ლარი);
- 2021 წელს დაიწყო და 2022 წელს დასრულდება სოფელ ნატანებში (კაპროვანი) ასფალტობეტონის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (1200 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 984 110 ლარი);
- მრავალწლიანი შესყიდვით დაიგეგმა სოფელ ხვარბეთში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (3547 გრძ.მ) (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 1 089 979,97 ლარი);
- დასრულდა ქალაქ ოზურგეთის დაზიანებული ქუჩის (ზესიკის პირველი შესახვევის-705 გრძ.მ) რეაბილიტაცია(გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 267223 ლარი);
- დასრულდა სოფელ მაკვანეთში ჭალის უბნის გზის რეაბილიტაცია (1745 გრძ.მ) (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 678606 ლარი);
- დასრულდა სოფელ გურიანთაში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (1813 გრძ.მ) (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 512438,86 ლარი);
- დასრულდა დაბა ნასაკირალში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია (2960 გრძ.მ) (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 760672,63 ლარი)
- დასრულებულია პროექტი სოფელ დვაბზუში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია (1390 გრძ.მ) - ღირებულებით 209605,75 ლარი და სოფელ ბოხვაურში (ვატულოს უბნის) გზის რეაბილიტაცია (822 გრძ.მ) ღირებულებით 211432,56 ლარი (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულებით 421038,31 ლარი);
- მიმდინარეობს დაბა ნასაკირალში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 836198,09 ლარი);

- მიმდინარეობს სოფ. შრომა (ჩირე) - ურეკი გრიგოლეთის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები (გარდამავალი პროექტი, შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებით 683426,11 ლარი);
- მიმდინარეობს სოფ. მელექედურში 615 გრძივი მეტრი ადგილობრივი მნიშვნელობის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულებით 173998,93 ლარი);
- მიმდინარეობს სოფელი შეკვეთილი-ურეკის განათების მოქმედი ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები (ღირებულებით 302 000 ლარი);
- უახლოეს პერიოდში დაიწყება ქალაქ ოზურგეთში, დამენიას ქუჩისა და ჯორჯიაშვილის ქუჩის პირველი შესახვევის რეაბილიტაციის სამუშაოები (სახელშეკრულებლო ღირებულებით 349887,68 ლარი);

მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები:

- მუნიციპალიტეტმა დაზიანებული გზების სარეაბილიტაციოდ შეიძინა 1500 კბ.მ ფრაქციული ღორღი (ფრაქცია 0-40) ღირებულებით 30000 ლარი;
- მიმდინარეობს 2021 წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გაწევა, ასევე 2019-20-21 წლებში დაწყებული და მრავალწლიანი სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურება სამუშაოების დასრულებამდე (სახელშეკრულებლო ღირებულებით 526000 ლარი);
- მიმდინარეობს ქ. ოზურგეთში, საზაფხულო კინოს ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები (ღირებულებით 29889,21 ლარი);
- მიმდინარეობს ქ. ოზურგეთში, დოლიძის ქუჩის No10-ში ეზოს კანალიზაციის ქსელის მოწყობის სამუშაოები (ღირებულებით 11000 ლარი);
- მიმდინარეობს სოფ. შემოქმედში ქუჩის გარე განათების მოწყობის სამუშაოები (ღირებულებით 15211,26 ლარი);
- მიმდინარეობს სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები (ღირებულებით 5000 ლარი);

დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები:

- დასრულდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საძიებო-საექსპლოატაციო ჭაბურღილების მოწყობის სამუშაოები (სახელშეკრულებლო ღირებულებით 96900 ლარი);

- დასრულდა ქალაქ ოზურგეთში ჟღენტის ქუჩის მონაკვეთის რეაბილიტაცია და ქალაქ ოზურგეთში გრიბოედოვის ქუჩაზე ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა (სახელშეკრულებლო ღირებულებით 39400 ლარი);

• შესრულდა სოფელი ქვემო ნატანების (მე-17 ბრიგადა) სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები - სახელშეკრულებლო ღირებულებით 163736.48 ლარი.

• დასრულდა ქ. ოზურგეთში, ანასეულის დასახლებაში, უნივერსიტეტის No12-ში მდებარე მრავალბინიანი საც. სახლის ფასადების მოპირკეთების სამუშაოები (ღირებულებით 172998.82 ლარი);

• 2021 წლის განმავლობაში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი იქნა ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების, ნაპირდამცავი ან/და ნაპირსამაგრი ნაგებობების, სახიდე გადასასვლელების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, ასევე სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, თანმდევი ექსპერტირებით (ღირებულებით 15 000 ლარი);

• დასრულდა ქალაქ ოზურგეთში, კოსტავას ქუჩა N4-ში მდებარე მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში დაზიანებული ლიფტის აღდგენის სამუშაოები (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 4420 ლარი);

• დასრულდა დაბა ურეკში სანიაღვრე არხების გაწმენდის მომსახურების შესყიდვა (ღირებულებით 2534 ლარი);

• ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთვასებული სასმელი წყლის ფანტანებისათვის (ე.წ. „სოკო“) შეძენილი იქნა 15 ერთეული მეტალის ონკანი (ღირებულებით 975 ლარი);

• შესრულდა სოფელ ნატანებში მდებარე საბავშვო ბაღის სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 3000 ლარი);

მუნიციპალიტეტი და დონორები

- ❖ მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მუნიციპალურ განვითარების ფონდდათ. ფონდის მიერ 2020 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში ბულვარის და მისი მიმდებარე ქუჩების და ბულვარზე გასასვლელების მოწყობის და რეკონსტრუქციის სამუშაოები (ღირებულებით 5052364,97 ლარი) და ქალაქ ოზურგეთში სამკუთხას სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 1736998,83 ლარი);
- ❖ გაეროს განვითარების პროგრამის მიერ გრანტის სახით დაფინანსდა და მიმდინარეობს დაბა გომისმთის განაშენიანების გეგმის შემუშავება (სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 240 000 ლარი);

სამოქალაქო ბიუჯეტი

2019 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა დაიწყო სამოქალაქო ბიუჯეტის „ იყავი თანამმართველი“-ს განხორციელება. 2020 წელს ამ პროგრამის ფაგლებში განსახორციელებლად შეირჩა შემდეგი სამუშაოები:

- პანორამა ოზურგეთი ანუ ოზურგეთის დაკიდული ბაღები;
- იპოვნე ჩემი სახლი;
- სპორტული მოედანი ანასეულში;
- გასართობი სივრცე ანასეულში;
- ბავშვთა გასართობი სივრცე მალაზონიას ქუჩაზე;
- თენიეშვილის სკვერი;
- ფილიმონ ქორიძის ბიუსტის შემოღობვა;
- გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩის კეთილმოწყობა;
- იადვეგა შეფერის ბიუსტი სამუსიკო სკოლასთან;
- ჭადრაკის დაფა ჭადრაკის ბაღში;

აღნიშნული სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 300 000 ლარი. მაგრამ ვინაიდან საპროექტო ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყო სრულყოფილი პროექტის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში მოწოდება შეწყდა აღნიშნული კოტრაქტი და კანონმდებლობის სრული დაცვით გაფორმდა ახალი ხელშეკრულება.

მიმდინარეობს ქალაქ ოზურგეთში, ლომთათიძის ქუჩის დასაწყისში ტერასული ტიპის ბაღის მოწყობის სამუშაოებზე საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა (ღირებულებით 4700 ლარი);

მეწყერ-საშიში ოჯახების დახმარება

მუნიციპალიტეტის არქტიტექტურის, სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და კომუნალური სერვისების განვითარების სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში არსებულ, სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოსთან, რომელიც დახმარებას უწევს მეწყერის შედეგად დაზიანებულ მოსახლეობას.
სამსახურის სპეციალისტების მიერ გაწეული კონსულტაციებით, მოქალაქეები აგზავნიან დოკუმენტაციას კომისიაში, რის განხილვის შედეგად მოსახლეობას ენიჭება შესაბამის ქულები და ეძლევათ დახმარება სახლის შესაძენად (თითეულს 25 000 ლარის ოდენობით).

2021 წელს მუნიციპალიტეტის მიერ უკვე გაკეთებულია 40 განაცხადი შესაბამის სტრუქტურაში..

სკოლების რეაბილიტაცია

- 2021 წელს საქართველოს მთავრობის განკარგულებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გამოეყო **160 000** ლარი. რომლის ფარგლებშიც მზადდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის **ორი** საჯარო სკოლის სარეაბილიტაცია სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

• ოზურგეთის მუნიციპალიტეტს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, **2021** წელს გამოეყო **1 086 000** ლარი. რაც შემდგომ მუნიციპალიტეტის მხრიდან გაზრდილი იქნა 100%-ით.

• მოსახლეობის მიერ დასმული პრიორიტეტების შესაბამისად დაიგეგმა 180-მდე მცირე და საშუალო სიდიდის ობიექტის მოწყობისა და სარეაბილიტაციო სამუშაოები. რომლის განხორციელებაც დაწყებულია.

სატრანსპორტო მომსახურეობა

კომუნალურის სერვისების განვითარების განყოფილების მიერ მომზადდა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M1, M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, სანებართვო მოწმობის ფორმის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ პროექტი, რომელიც საკრებულოს მიერ იქნა დამტკიცებული.

მშენებლობის ნებართვების შესახებ

არქიტექტურის განყოფილებაში - 6 თვის განმავლობაში შემოსულია 383 განცხადება. გაცემულია 46 ახალი (მოსაკრებელის სახით მუნიციპალიტეტში შემოსულია 85478, 37 ლარ

დასუფთავება და გარემოს დაცვა

ა(ა)იპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მომსახურების ცენტრის“ მიერ
2021 წლის 6 თვეში შესრულებული სამუშაოების ანგარიში.

ქალაქ ოზურგეთში ყოველდღიურად ხდება მის ტერიტორიაზე არსებული 30 ქუჩის, 6 მოედნის, 3 ბაღის და 4 სკვერის დაგვა დასუფთავება, ჯამურად მოცულობით 832505 $მ^2$ ფართობი. ქალაქის ტერიტორიაზე ყოველდღიურად ხდება სანაგვე ურნების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, ხოლო სოფლებში ყოველ მესამე დღეს.

ყოველდღიურად მიმდინარეობდა ურეკისა და შეკვეთილის სანაპირო 9 კმ. ზოლის ზღვისგან გამორიყული ნაგვისგან და სხვადასხვა ნარჩენებისგან დასუფთავება.

ნაგავსაყრელზე 6 თვის განმავლობაში შეტანილი იქნა 6121.87 ტ. საყოფაცხოვრებო ნარჩენი. მ.შ.: მერიის ნაგავსაყრელი 5959.47 ტ., ურეკის ნაგავსაყრელი 162.4 ტ. აღდგენილი იქნა დაზიანებული 89 ცალი 1.1 $მ^3$-ნი სანაგვე ურნა, დამატებით განთავსდა 100ცალი 1.1 $მ^3$-ნი ურნა.

მომსახურების ცენტრის ბალანსზე რიცხულ სატრანსპორტო საშუალებებს უტარდება ყოველდღიური ტექ. დათვალიერება და სარეგლამენტო მომსახურება, აღმოჩენილი დაზიანების ან დეფექტის შემთხვევაში ხდება მათი აღმოფხვრა. შეიცვალა საბურავები ავტომანქანებზე 28 ცალი, ტრაქტორებზე 4 ცალი. შეიცვალა ა/ მანქანებზე 180 ა/ს-ნი 6 ცალი, 100 ა/ს -ნი 3 ცალი.

ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები ბულდოზერს „ კომაცუ"-ს, კერძოდ: შეიცვალა 2 ც. წინა მიმმართველი ბორბალი, მუხლუხას დამჭიმი 1 ც., მუხლუხას საგორავი 3 ც.

მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნის შესაბამისად მიმდინარეობდა სოფლების შიდა გზების მოსწორების, გზისპირა სანიაღვრე არხების, ამოწმენდის, დამეწყრილი მონაკვეთების გასწორების, მდინარეების კალაპოტის გასწორხაზოვნების სამუშაოები.

შეიცვალა და დამონტაჟდა შემდეგი დასახელების ელექტრო მასალები, კერძოდ: მრიცხველი ფაზა-ნოლი 14 ცალი, ნათურა 6800 ცალი, ფოტოთვალი (HL-472)-124 ცალი, ელ. სადენი (2X10) -2276 მეტრი, ავტომატური ამომრთველი 116 ცალი, დროსელი (70-150)ვტ.- 314 ცალი, იგნიტორი-176 ცალი მაგნიტური გამშვები -47 ცალი, ლამპიონის კორპუსი - 57ცალი, ფაიფურის ბუდე -282 ცალი, ნათურის ვაზნა -124 ცალი, ელ-მრიცხველის კარადა -5 ცალი

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოებზე მოიჭრა 1 ძირი ხე, 1 ჰა ფართობზე ჩატარდა ხე-ბუჩქნარის სანიტარული ჭრა, გაიცელა და დასუფთავდა 30 ჰა ფართობი. ქალაქის 7 სასაფლაოებზე ბალახი და ეკალ-ბარდები დამუშავდა შხამ ქიმიკატებით-4.5 ჰა. ყოველდღიურად ხდება ნარჩენების გატანა (ყვავილები, ქაღალდები, პოლიეთილენი და სხვა).

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოჭრილი იქნა ამორტიზირებული ხე -118 ძირი, მოცულობით 158 $მ^3$ დამუშავებული იქნა საშეშე მერქნად და დაურიგდა სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს. მრავალწლიანი ხე-მცენარეები გაიწმინდა ხმელი და დაზიანებული ტოტებისგან, დეკორატიული ფორმირება ჩაუტარდა მრავალწლოვან ხეებსა და ბუჩქებს. ქ.ოზურგეთის ქუჩები, ტროტუარები, პარკები და სკვერები სარეველა მცენარეებიდან გაიწმინდა და გაიცელა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ქუჩები, ტროტუარები, პარკები და სკვერები, სოფლების ადმინისტრაციული შენობების ეზოები და სტადიონები 56.4 ჰა სართო ფართობით. კირით შეთეთრდა 388 ძირი ხე, დეკორატიული ხე მცენარეები დამუშავდა აგროტექნიკურად, დაავადებაზე შეიწამლა ქიმიური პრეპარატებით და გამდიდრდა მკვებავი ნივთიერებით, ტროტუარებზე არსებული ქვაფენილი დამუშავდა შხამ- ქიმიკატებით.

დ. აღმაშენებელის და ე. თაყაიშვილის ქუჩებზე შეკეთდა სანიაღვრე არხებზე არსებული 49 მეტრი ლითონის ცხაური და 66 ცალი ბორდიური, წყლის დასალებ 3 შადრევანს (ე.წ. სოკო) ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, თოვლის ა/მანქანების მოცურების საწინააღმდეგოდ ქუჩებში დაიყარა ქვიშა-მარილის ნაზავი. შესრულდა საახალწლო ნაძვის ხის დემონტაჟი, აღდგენილი იქნა და ადგილზე დამონტაჟდა დაზიანებული საგზაო ნიშნები, კინოთეატრ „ოზურგეთის შესასვლელში განხორციელდა ალუმინის ჭერის დემონტაჟი, სკვერებში და პარკებში განთავსებულ 12 მცირე ურნას ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები და დამზადდდა სათლები , ასევე აღდგენილი იქნა 22 ცალი დაზიანებული სკვერის სკამი, მეეზოვებისთვის დამზადდდა აქანდაზები -31 ცალი, შეკეთდა ზაურ თენიეშვილის მემორიალის ლითონის ღობე, აწყობილ იქნა 146 ცალი 1.1$მ^3$ -ნი ახალი სანაგვე ურნა. სისტემატურად ხდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სამი შადრევნის დაგროვილი შლამისგან გაწმენდა.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და სარეველა ბალახებისგან გაწმენდილი იქნა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული 19273 $მ^2$ სანიაღვრე არხი და ჩამდინარე მდინარეები.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაწმენდილი, გაცელილი და დასუფთავებული იქნა 150 კმ ქალაქში და სოფლებში შემავალი საავტომობილო გზების გვერდულები.

ქალაქის ტერიტორიაზე დაჭერილი და იზოლატორში გადაყვანილი იქნა 16 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 6 ცხენი, რომელთა მფლობელებზეც შედგენილი იქნა შესაბამისი საჯარიმო სანქციები. დაჭერილი და ძაღლების თავშესაფარში გადაყვანილი იქნა 318 მაწანწალა ძაღლი. აქედან 187 სულს ჩაუტარდა კასტრაცია, 131 სულს სტერილიზაცია. ყველა მათგანს ჩაუტარდა დაავადებებზე შესაბამისი აცრები და დეჰემილიზაცია ყურის კლიპის მეშვეობით.

იურიდიული ობიექტებიდან დასუფთავების მოსაკრებლის სახით ამოღებულია იქნა 101200 ლარი და ჩარიცხული იქნა ხაზინის ანგარიშზე.

ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახური
2021, 6 თვე

სოფლის მეურნეობის განყოფილება

საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ ხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

სასკოლო სადემონტსრაციო ნაკვეთების მოწყობა - პროექტის მიზანია ჩვენი რეგიონისათვის არატრადიციული კულტურების მოვლა მოყვანის სწავლება და ამ მიმართებით მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესის გაღვივება. პროექტი ხორციელდება მუნიციპალიტეტის 5 საჯარო სკოლაში (სოფელ ოზურგეთი, ლიხაური, შემოქ-მედი, დვაბზუ და ბახვი). სადემონ-სტრაციო კულტურებად შერჩეული იქნა კომბოსტოსნაირები (კომბოსტო, ყვავი-ლოვანი კომბოსტო და ბროკოლი). მუნიციპალიტეტის მერიამ ხუთივე სკოლისათვის შეიძინა და საჩუქრად გადასცა საცდელ ნაკვეთზე სამუშაოდ საჭირო სასოფლო სამეურნეო ინვენტარი (ორ-ორი ცალი სარწყავი, ბარი, თოხი, ფოცხი). მიმდინარე წლის გაზაფხულზე განვითარებული უჩვეულო ცივი ამინდებიდან გამომდინარე იძულებული გავხდით ჩითილები გამოგვეყვანა ფერმერ ლეილა ბენიძის საკუთრებაში არსებულ სათბურში და სასკოლო ნაკვეთებზე დაირგო უკვე გამოყვანილი ნერგები. ხუთივე სკოლაში განყოფილების სპეციალისტების მიერ ჩატარდა მასტერ-კლასები, რომლებიც ითვალისწინებდა კვლების მომზადების სწავლებას ჩითილების დასარგავად და ბოსტნეული კულტურების დასათესად. ნარგაობის მიმდებარედ დაითესა ბოსტნეული კულთურები - თვის ბოლოკი, სტაფილო, ჭარხალი. საცდელ ნაკვეთებზე არსებულ ნარგაობას და ნათესარს განყოფილების სპეციალისტების მიერ მიცემული რეკომენდაციების შესაბამისად მოვლით სამუ-შაოებს უტარებდნენ მოსწავლეები.

მიღებული იქნა ბაღჩეული კულტურების პირველი მოსავალი. მოსწავლეები აღტაცებას ვერ მალავენ თავიანთი შრომის შედეგებიდან გამომ-დინარე. განსაკუთრებით მაღალი შედეგები იქნა მიღწეული სოფელ ბახვის საჯარო სკოლაში (დირექტორი ქ-ნ. მზია ვაშალომიძე). პროექტი გრძელდება. პროექტი იმითაცაა საინტერესო, რომ მოსწავლეებთან ერთად ამ საქმიანობაში მოხდა მშობლებისა და პედაგოგების ჩართულობა, რაც ჩვენი აზრით ძალიან მნიშვნელოვანია დარგის პოპულარი-ზაციისათვის.

ჩაის სანერგე მეურნეობის განვითარება - 2020 წელს დაიწყო მუნიციპალური პროექტი, რომელიც ითვალისწინებს უმაღლესი ხარისხის ჩაის ნერგების გამოყვანას და დაინტერესებული პირებისათვის გადაცემას. მიმდინარე წლის აგვისტოს თვიდან შესაძლებელი იქნება 40 ათასი ნერგის გადაცემა დაინტერესებული პირებისათვის საკუთარ

საკარმიდამო ნაკვეთებში გაშენების მიზნით. მიმდინარე პერიოდში მოეწყო ჩაის სადედე პლანტაცია, რაც საშუალებას მოგვცემს ყოველწლიურად მოხდეს ახალი ნერგების გამოყვანა. განყოფილება მუშაობს 2021 წლიდან სანერგეში დამატებით კივის ნერგების გამოყვანის საკითხებზე;

სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა - გრძელდება მუნიციპალური პროექტი, რომელიც ითვალისწინებს მემცენარეობის სხვადასხვა დარგში სადემონსტრაციო ნაკვეთეის მოწყობას. მიმდინარე წელს დაგეგმილია ციტრუსის, მარცვლეულის, თხილის სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა და დაინტერესებული ფერმერებისათვის პრაქტიკული ღონისძიებების ჩატარება დადგენილი აგროტექნიკური და აგროქიმიური წესების გათვალისწინებით;

საკონსულტაციო მომსახურება - სსიპ - "დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს ინტეგრაცია-რეინტეგრაციის სამსახური"-ს მიერ გამოცხადდა კონკურსი ეკომიგრანტებისათვის, დევნილებისათვის და ემიგრანტებისათვის. განყოფილების წარმომადგენელი ახდენდა დაინტერესებული პირების კონსულტაციას და განაცხადების ჩაბრებას;
ქართული ჩაის ფესტივალის მოწყობა - გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით 15 ივლისს დაგეგმილია ფესტივალის მოწყობა, სადაც მონაწილეობას მიიღებს გურიის და მეზობელი რეგიონების ჩაის და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებელი კომპანიები. განყოფილების თანამშრომლები ცართულია და მონაწილეობას ღებულობს ფესტივალის საორგანიზაციო საკითხებში.

ქონების მართვის განყოფილება

სულ ქონების განყოფილებაში, საანგარიშო პერიოდში, შემოვიდა 2911 წერილი, განცხადება და კორესპოდენცია.

მათ შორის; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან შემოვიდა 2570 წერილი, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან 85 წერილი, გუბერნატორის ადმინისტრაციიდან 93 წერილი, მოქალაქეებიდან 108 განცხადება, სხვა ორგანიზაციებიდან და უწყებებიდან კი 55 წერილი.

შიდა მოძრაობით შემოვიდა 2817 წერილი, პასუხი გაეცა და გარე სტრუქტურებში გადაიგზავნა 2209 წერილი. დარჩენილ 608 პასუხგაუცემელ წერილებზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება.

მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგსტრირების მიზნით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში გადაიგზავნა 101 ერთეული უძრავი ქონების სარეგისტრაციო მონაცემები (მერის მიერ გამოცემული ბრძანებები და საკადასტრო ნახაზები). მათ შორის სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მუნიციპალიტეტს გადმოეცა 77 ერთეული უძრავი ქონება, რომელიც დარეგისტრირდა მუნიციპალურ საკუთრებად.

ელექტრონული აუქციონის წესით გასხვისთა 8 ობიექტი, პრივატიზებიდან შემოსავალმა შეადგინა 192788,6 ლარი. იჯარით გაცემული უძრავი ქონებების შემოსავალმა შეადგინა 50795,83 ლარი. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების პრივატიზებიდან შემოსავალმა შეადგინა 55288,5 ლარი.

ტურიზმის განყოფილება

მზადება ტურისტული ფესტივალისთვის - ტურიზმის განყოფილება ემზადება ივლისის თვეში ოზურგეთის ტურისტული ფესტივალისთვის. საანგარიში პერიოდში შედგა კომუნიკაცია გაეროს განვითარების პროგრამის ხელმძღვანელებთან, სადაც განხილული იყო ოზურგეთში ტურისტული ფესტივალის ჩატარების საკითხი. გაეროს პროგრამიდან მივიღეთ სრული მხარდაჭერა "ქართული ჩაის ფესტივალის" და "გურიის ტურისტული

ფესტივალის“ ჩატარების შესახებ. ღონისძიების ჩატარება დაგეგმილია წვერმარალას პარკში, სადაც მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი მეწარმეები და ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები. განყოფილების წევრებს დაგეგმილი აქვს აქტიური სარეკლამო კამპანიის ორგანიზება წინა საფესტივალო პერიოდში დაინტერესებული გიდების, ტურისტული კომპანიების და ინდივიდუალური ვიზიტორების დაინტერესების მიზნით.
ღონისძიება ხელს შეუწყობს რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების და ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას.
ტურისტული ლოკაციების წარმომადგენლებთან შეხვედრები - სტაბილურად ეწყობა შეხვედრები ტურისტული ლოკაციების წარმომადგენლებთან, ხდება მათთან დაგეგმილი საქმიანობების შესახებ გეგმის მოზმადება. მუნიციპალური ტურისტული პროექტი “ჩაის გზა“ ძალიან პოპულარულია. წელს პროექტს ემატება ახალი მონაწილე ახალგაზრდა ქალბატონი, ლანა ჟღენტის ჩაის მცირე საწარმო ახალი ტურისტული ლოკაციით ,,პლანტაცია“. მუნიციპალიტეტი და ტურიზმის განყოფილება ხელს უწყობს ახალი ტურისტული ლოკაციის შექმნაში. ,,პლანტაცია“ გაიხსნება ივლისის თვეში.
უკრაინელი ქალბატონი,ოზურგეთის დაძმობილებული გენიჩესკიდან, აქსანა ჩერნობრივცევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხშირი სტუმარია უკრაინელ ტურისტებთან ერთად. ქ. ბათუმში დააფუძნა ტურისტული კომპანია ,,Albomi Travel Club” და მიგვიწვია ოფისის გახსნაზე, სადაც ერთად დავგეგმეთ ახალი მარშრუტები, მივაწოდეთ განახლებული ინფორმაცია მუნიციპალური ტურისტული პროექტების შესახებ და დავგეგმეთ შემდგომი თანამშრომლობა.
საინფორმაციო შეხვედრები: ტურიზმის განყოფილების ინიციატივითა და ორგანიზატორობით საოჯახო სასტუმრო-მეურნეობა ,,კომლში” გაიმართა გაცნობითი შეხვედრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული ტურისტული ობიექტებისა და ტურისტული სერვისების მიმწოდებლებსა და სახელმწიფო რწმუნებულს შორის.
ვისოლ ჯგუფს მივაწოდეთ ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული ახალი ტურისტული ლოკაციების შესახებ. ჯგუფმა შეარჩია “ჩაის გზა“ მონაწილე ლანა ჟღენტი. ტურიზმის განყოფილებამ ორგანიზება და დახმარება გაუწია, ვისოლ ჯგუფის მიერ მოწვეული, მარკეტოლოგების ტურისტულ ლოკაციაზე მუშაობას.

საინვესტიციო ფორუმი ოზურგეთში - გაეროს განვითარების პროგრამის ორგანიზებით მაისის თვეში ჩატარდა გურიის საინვესტიციო ფორუმი. ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღოს დონორი და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. სამსახურის უფროსმა მოახდინა ოზურგეთის საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ პრეზენტაცია, სადაც ისაუბრა ოზურგეთის სასოფლო-სამეურნეო, ტურისტული და მრეწველობის მიმართულებით არსებულ რესურსებზე, ოზურგეთის ძლიერ მხარეებზე ინვესტიციების განხორციელებისათვის.

სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილების მიერ ჩატარებული ღონისძიებები და განხორციელებული პროექტები:

სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა განყოფილება, რომლის ბიუჯეტიც შეადგენს 100 000 (ასიათას) ლარს, სპორტულ ორგანიზაციებთან, სპორტის განვითარების ა.ა.ი.პ. -ებთან, სპორტის ფედერაციებთან და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან აქტიური თანამშრომლობით ტრადიციულად წარმატებით ახორციელებდა სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა მუნიციპალურ პროგრამათა

კოორდინაციას, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობას. ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის განვითრების მიზნით, სათანადო პროექტებისა და საქმიანობის განხორციელებას, მოზარდებისა და ახალგაზრდების თავისუფალი დროის ორგანიზებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდობის საზოგადოებაში ინტეგრაციას.

მიმდინარე წელს, სამწუხაროდ, COVID-პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების შედეგად, ვერ ხერხდება წლის გეგმით გათვალისწინებული და ასევე შემხვედრი ღონისძიებების სრულად განხორციელება, სამუშაო შეხვედრების დიდი ნაწილი ჯერჯერობით იმართება ონლაინ რეჟიმში.

აქედან გამომდინარე, წარმოგიდგენთ განხორციელებული ღონისძიებების ჩამონათვალს:

N	შესრულებული სამუშაოს დასახელება	შესრულების პერიოდი	შენიშვნა	ხარჯი (ლარი)
1.	ახალგაზრდა ნიჭიერი მხატვრის ერთჯერადი დახმარება	22.03.2021	სოციალურ სახლში მცხოვრები, სოციალურად დაუცველი, ნიჭიერი მხატვრისთვის, ერთჯერადი დახმარება სახატავი საშუალებების შესაძენად.	250
2.	წარმატებული სპორტსმენის და მწვრთნელის დაჯილდოება	12.02.2021	საქართველოს ჩემპიონის ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, ევროპის ჩემპიონატის II ადგილის მფლობელი იური ლომაძისა 2000 (ორიათასი) ლარით და მისი მწვრთნელის ვალერი ზურაბიანის 1000 (ათასი) ლარით დაჯილდოება.	3000
3.	საჭადრაკო კლუბი ,,გურია“	06.04.20121	საჭადრაკო კლუბ ,,გურიას“ გეგმა-კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებების ორგანიზებისათვის სუბსიდირების სახით გამოიყო თანხა.	5000
4.	სპორტული ინვენტარის შეძენა	29.04.20121	ბოხვაურია ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ სპორტულ ღონისძიებაში ხელშეწყობის მიზნით შეძენილი იქნა სპორტული ინვენტარი	241
5.	სპორტული ინვენტარის შეძენა	19.05.2021	დაბა ნარუჯის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ სპორტულ ღონისძიებაში ხელშეწყობა	400
6.	ოზ. მუნიციპალიტეტის ,,ქვიშის ფეხბურთის“ გუნდი შევარდენი	20.05.2021	ტრანსპორტირება ბათუმში	ტენდერი

8.	სპორტული ინვენტარის შეძენა	07.06.2021	სოფ. ვაკიჯვარი, დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულებში სპორტული ღონისძიების გასამართად შეძენილი იქნა სპორტული ინვენტარი	538
9.	სპორტული ღონისძიება	18.06.2021	დაბა ურეკში გარდაცვლილი ახალგაზრდების სახელობის ტურნირის ორგანიზებისათვის(გამარჯვებულ გუნდს გადაეცა ჯილდო)	625
10.	სპორტული ინვენტარის შეძენა	28.06.2021	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაბა ნარუჯასა და სოფ მაკვანეთში ახალგაზრდების ჩართულობით, გამართული სპორტული შეჯიბრებების ჩასატარებლად შესყიდული იქნა სპორტული ინვენტარი.	310
11.	სოფ. ბოხვაურში სპორტული ღონისძიება	28.06.2021	ახალგაზრდების ჩართულობით გაიმართა უბნებს შორის სპორტული შეჯიბრებები	241
12	ქუჩის კალათბურთი	21.06.2021	ქუჩის კალათბურთის საინიციატივო ჯგუფის მიერ შემოტანილი განცხადების საფუძველზე, შეძენილი იქნა გამარჯვებულებისთვის პრიზები.	122
13	მერცხალი	08.07.2021	,,მერცხალის" ახალგაზრდა ფეხბურთელების ტრანსპორტირება ქ. ბათუმში საფეხბურთო ტურნირზე.	ტენდერი

კულტურის განყოფილების 6 თვის ანგარიში

	ღონისძიების დასახელება	ჩატარების დრო	მუხლი	ქვეპროგრამა	გამოყოფილი თანხა	დახარჯული თანხა
1	ევროპული სოლიდარობის დღეების კონკურსში მონაწილე მოსწავლეების დაჯილდოვება	26.01.2021	05.02.01.	კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	10000	580
2	25 თებერვალი-საბჭოთა რეჟიმის მსხვერპლთა პატივის მიგება	25.02.2021	05.02.01.	საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების ორგანიზება	10000	100

3	3-8 მარტი მედიკოსი ქალბატონების დაფასება	08.03.2021	05.02.01.	საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების ორგანიზება	10000	1900
	ღვაწლმოსილი ლოტბარის,ანზორ ერქომაიშვილის სამგლოვიარო პროცესისათვის გვირგვინის შეძენა	03.04.2021	05.02.01.	სხვა კულტურული ღონისძიებები	40000	380
	სამხატვრო სკოლის 2 წარჩინებული მოსწავლისთვის(სოციალურად დაუცველი ოჯახი) სამხატვრო ატრიბუტიკის შეძენა	29.03.2021	05.02.01.	სხვა კულტურული ღონისძიებები	40000	300
4	7 აპრილი მსოფლიო ჯანდაცვის დღე	07.04.2021	05.02.01.	საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების ორგანიზება	10000	300
5	9 აპრილს დაღუპული გმირების პატივის მიგება.გამოფენის მოწყობა	09.04.2021	05.02.01.	საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების ორგანიზება	10000	560
	ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ოზურგეთის ფილიალისთვის,ანზორ ერქომაიშვილის მემორიალური სტელას დამზადება	29.04.2021	05.02.01.	სხვა კულტურული ღონისძიებები	40000	12630
7	9 მაისი-სამამულო ომის გმირების პატივის მიგება	09.05.2021	05.02.01.	საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების ორგანიზება	10000	150
10	ვეტერანთა გურიის სამსახურისთვის 20 ცალი სტანდარტული დროშის შეძენა	15.05.2021	05.02.01.	საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების ორგანიზება	10000	400
9	პროექტი ,,მონაწილეობითი კაფე'' ლანჩის მოწყობა	29.05.2021	05.02.01.	კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	10000	200
10	ესტონეთის ცენტრალური ტელევიზიის სტუმრობა გურიაში, ფილმის გადაღებასთან დაკავშირებით	25/26.06.2021	05.02.01.	კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	10000	2130
11	გიორგი სალუქვაძის საერთაშორისო ფესტივალი	06/09 .07.2021	05.02.01.	სხვა კულტურული ღონისძიებები	40000	17000

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილების 2021 წლის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ(1 იანვრიდან 1 ივლისამდე)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებისთვის 2021 წლის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო- **1,639.0 ლარით.**
სამსახური 2021 წელს ახორციელებს - 15 სახის პროგრამას.
მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წელს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილებას დაეწერა და განიხილა **3555 განცხადება -გახარჯულია 781,400ლარი.**

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა განყოფილება მუშაობს ქვემოთ ჩამოთვლილი პროგრამების მიხედვით:

1.სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამა: ბიუჯეტი **270 000** ლარი. **გაცემული თანხა-142.100 ლარი.**

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარების პროგრამიდან, სამუშაო ჯგუფმა განიხილა და დააკმაყოფილა 30 ოჯახი. მათ შორის 10 ოჯახს გამოეყო თანხა საცხოვრებელი სახლის სარებილიტაციოდ მასალების შესაძენად, ხოლო 20 ოჯახს გადაეცა სამშენებლო მასალები.
ამ ეტაპზე ბინის ქირით მოსარგებლეა- **45 ოჯახი.** (მონაცემები ცვალებადია)

2.შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამა: ბიუჯეტი-215.000ლარი.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამით მიმდინარე წელს ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 158 მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, თითოეულს 100 ლარის ოდენობით.
შშმ პირებს მხედველობით დახმარება გაეწია -68 მოქალაქეს.
შშმ პირებს რომელთა ასაკია 6-დან 18 წლამდე (დახმარება ჰიგიენური საფენების შესაძენად) დახმარება გაეწია 22 (ყოველთვიური) ბენეფიციარს.

საქველმოქმედო ასოციაიცა „გურია"_ს ყოველთვიურად ერიცხება 5000 (ხუთიათასი)ლარი 18 წელს გადაცილებული 20 შშმ პირის მომსახურებისთვის.
შშმ პირებისთვის სპეციალური ინვენტარის ან დამხმარე საშუალებების შეძენის პროგრამიდან დახმარება გაეწია ერთ შშმპირს - 1500 ლარის ოდენობით.
სულ მიმდინარე აღნიშული პროგრამიდან გახარჯულია-75.700ლარი .

3.საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა.14000 ლარი.

პროგრამის მიზანია: დევნილთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება 200 (ორასი)ლარის ოდენობით სათბობით უზრუნველყოფის მიზნიით.
მატერიალური დხმარება გაეწია აფხაზეთიდან დევნილ **40 ოჯახს.**
სარიტუალო დახმარების მიზნით დახმარება გაეწია ერთ ოჯახს -250ლ. ოდენობით
სულ მიმდინარე წელს გახარჯულია-8000 ლარი

4.მრავალშვილიან ოჯახთა დახმარების პროგრამა.

პროგრამის მიზანი: მრავალშვილიან ოჯახთა ფინანსური დახმარება.

პროგრამის ბიუჯეტი 6**0.000** ლარი.

მუნიციპალიტეტის მერია ანხორციელებს მრავალშვილიან ოჯახებზე (ოთხი და მეტი 18 წლამდე ასაკის შვილი), ყოველთვიურ დახმარებას-სულ **26 ოჯახი.** 100- დან 150001-მდე სარეიტინგო ქულით თითოეულ ბავშვზე გათვალისწინებულია დახმარება 25 ლარის ოდენობით. **ოჯახი. მონაცემები ცვალებადია სარეიტინგო ქულების შესაბამისად.**

სულ მიმდინარე წელს გახარჯულია- 17.500 ლარი

5. სარიტუალო დახმარების პროგრამა

სარიტუალო დახმარების პროგრამიდან, ერთჯერადი მატერიალური დახმარება-გაეწია 66 ოჯახს.

სულ მიმდინარე წელს გახარჯულია-18250 ლარი

6. დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი დახმარების პროგრამა 15000 ლარი.

პროგრამის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების (კვარტალში ერთხელ) მატერიალური დახმარება 400 ლარის ოდენობით. მიმდინარე წელს დახმარება გაეწია 7 ბენეფიციარს - თითოეულს 400 ლარის ოდენობით.

სულ მიმდინარე წელს გახარჯულია-5600ლარი

7. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარებას, რომლებიც ჩართული არიან დიალიზის სხელმწიფო პროგრამაში, ყოველ კვარტალურად - 300 ლარის ოდენობით და პერიტონიალური 1 მოქალაქეს ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით.

ამ ეტაპზე დახმარების მიმღებია -43 მოქალაქე (მონაცემები ცვალებადია)

სულ მიმდინარე წელს გახარჯულია-25400 ლარი

8. სხვა ფულადი სოციალური გასაცემელი

პროგრამა ითვალისწინებს განსაკუთრებულ შემთხვევაში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო კვლევებისთვის დახმარებას.

აღნიშნული პროგრამიდან დახმარება გაეწია **142 მოქალაქეს.**

სულ მიმდინარე წელს გახარჯულია-39,000ლარი

9. სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარების პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულაა 0-დან 70 000-ის ჩათვლით, ბავშვის დაბადების შემთხვევაში ყოველთვიურად 100 ლარით დახმარება, ბავშვის მოვლის საგნებისა და საკვების შესაძენად ფარმაცევტული დაწესებულებიდან.

პროგრამაში ჩართული და ყოველთვიური დახმარების მიღრებია 37 ოჯახი.

სულ მიმდინარე წელს გახარჯულია-18 600 ლარი

10. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა.

პროგრამის მიზანი: მძიმე სოციალური პირობებში მყოფი ოჯახების უფასო კვებით უზრუნველყოფა.*ბენეფიციართა რაოდენობა 180*
სოციალური განყოფილების მიერ მიმდინარეობს პერიოდული მონიტორინგი, მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამაში ჩართული მოქალაქეების.

სულ მიმდინარე წელს გახარჯულია- 73600 ლარი.

11. ხანდაზმულთა სახლისთვის კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფის პროგრამა. (ბუნებრივი აირის,ელექტროენერგია, წყალი საფასური)

პროგრამის ბიუჯეტი 15000 ლარი. გაცემული თანხა- 6800 ლარი.

12. დღის ცენტრის დაფინანსების პროგრამა („მომავლის სხივი")

შედეგი: პროგრამით ფინანსდება 6-18 წლამდე - 28 ბავშვი (ერთი ბენეფიციარი თვეში 150 ლარის ოდენობით),,მომავლის სხივი"ს დღის ცენტრის მომსახურებით.

სულ მიმდინარე წელს გახარჯულია- 21000 ლარი

13. **მოქალაქეთა სამედიცინო დახმარების** პროგრამიდან მიმდინარე წელს - სამედიცინო მომსახურებისთვის (ოპერაცია,მკურნალობა) დახმარება გაეწია **-209 მოქალაქეს.** მედიკამენტოზური მკურნალობის დასაფინასებლად მომზადდა მოხსენებითი -**637 მოქალაქეზე**

სულ მიმდინარე წელს გახარჯულია- 120,900ლარი

14. **ლეიკემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა დახმარების პროგრამიდან მიმდინარე წელს აღნიშნული პროგრამიდან სამედიცინო** დაწესებულებაში და მედიკამენტოზური მკურნალობა დაუფინანსდა -451 მოქალქეს.

სულ მიმდინარე წელს გახარჯულია- 119.500 ლარი

15.**ძვირადღირებული კვლევის** პროგრამიდან მიმდინარე წელს გამოკვლევები დაუფინანსდა -**90 მოქალაქეს.**

სულ მიმდინარე წელს გახარჯულია- 16.200 ლარი